



ქედის მუნიციპალიტეტის მერის საქმიანობის
ა ნ გ ა რ ი შ ი

სამუშაო წელი: 2019

2020 წელი

შესავალი

2019 წელს ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში არაერთი სიახლე დაინერგა, განხორციელდა სამოქალაქო, ახალგაზრდული და თვითმმართველობის მიერ შემუშავებული ინიციატივები, გაღრმავდა და გაფართოვდა ურთიერთობები როგორც სახელმწიფო, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან. აღსანიშნავია, მოქალაქეთა ჩართულობის მზარდი ტემპი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობაში.

პასუხისმგებლობა ამომრჩეველთან:

მერის წინასაარჩევნო პროგრამა ეყრდნობოდა საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ 4 პუნქტიან რეფორმების გეგმას:

1. ეკონომიკური რეფორმა;
2. განათლების რეფორმა;
3. სივრცითი მოწყობა;
4. მმართველობითი რეფორმა.

საარჩევნო პროგრამის მიხედვით, გასატარებელ რეფორმათა სტრატეგიული ორიენტირებია: ადგილობრივი დემოკრატიის განმტკიცება და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაძლებლობებისა და ეფექტიანობის ხარისხობრივი გაზრდა.

შედეგად: 2019 წელს - თვითმმართველობის დეცენტრალიზაციის სტრატეგია უკვე საჯაროდ იქნა საზოგადოებისთვის წარდგენილი.

მერიის საქმიანობის ძირითადი პრინციპები:

- ორგანიზაციის საქმიანობის საჯაროობა;
- მოქალაქეთა კეთილდღეობაზე ზრუნვა, მათი უფლებების დაცვა;
- მერიის სერვისებზე მოქალაქეთა მაქსიმალური ხელმისაწვდომობა;
- თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა;
- თვითმმართველობის სფეროების ეფექტური მართვა;
- კრიზისული სიტუაციების მართვა.

ვთანამშრომლობთ:

- აქტიურია თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან: GIZ, CENN, EMPARD, NAF, DVV international, დემოკრატიის ინსტიტუტი, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტი, ქედის

ზრდასრულთა ცენტრი, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტა ასოციაცია, ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია, ახალგაზრდულ მეცნიერებათა კავშირი „ინტელექტი“, შავი ზღვის ეკო აკადემია, ქალები სამართლიანობისთვის, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, ქალ ბიზნესმენტა ასოციაცია, თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი, და ა.შ.

- მაღალია საზოგადოებასთან ურთიერთობის აქტივობები მედიაში, პრესაში, რადიოში, სოციალურ მედიაში;

მთავარი დაპირება იყო:

- ადგილობრივი დემოკრატიის განმტკიცება; (მმართველობის სტილზე)
- ადგილობრივი თვითმმართველობის შესაძლებლობებისა და ეფექტიანობის ხარისხობრივი გაზრდა. (სტრატეგიებზე მუშაობა და ინოვაციური პროგრამები.

ვინაიდან: ქედის თვითმმართველობის მიერ დაგეგმილი ნებისმიერი პროგრამა ეყრდნობა საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ 4 პუნქტიანი რეფორმების გეგმას:

- ეკონომიკური რეფორმა; (ტურიზმის ხელშემწყობი ღონისძიებები - ჩანჩქერების ტერიტორიების კეთილმოწყობა, ბიზნესის ხელშემწყობი ღონისძიებები, ენპარდის პროგრამა - 2 მილიონი ევრო და ა.შ.)
- განათლების რეფორმა; (მასწავლებელთა ჯილდოები, ახალი მიდგომები, ახალგაზრდობის ხელშემწყობი პროექტები - რეგიონული ცენტრი და ა.შ.)
- სივრცითი მოწყობა (ახალი ტერიტორიები);
- მმართველობითი რეფორმა (დეცენტრალიზაციაზე)

2019 წელს დანერგილი სიახლეები:

- მთის განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები 2019 წელს პირველად განხორციელდა პროგრამულად (საჭიროებისამებრ გარკვეულ მთებს გადაეცათ წყლის მილები, ავზები, ელექტრო სადენები, თბილი სამოსი - მადლობის სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ უხუცესი და ახალგაზრდა მოიალადეები)
- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ცნობადობის გაზრდა

(მუნიციპალიტეტის მერიამ, არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, მოქალაქეთა ჩართულობის ამ მექანიზმის გასაძლიერებლად და საბჭოს საქმიანობის ეფექტურობის მიზნით, გამოთქვა მზაობა გადაეხალისებინა საბჭო და დამატებოდა ისეთი სეგმენტი როგორცაა გენდერული, ახალგაზრდული, საინჟინრო და არასამთავრობო ორგანიზაციებიდა კვოტები. საბჭო ამ ეტაპზეც ატარებს ცნობადობის გაზრდის მიზნით საინფორმაციო კამპანიას)

➤ **ახალი ინიციატივა - „მონაწილეობითი ბიუჯეტი“**

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის გიზის მხარდაჭერით დაინერგა 2020 წელს დაბასა და დოლოგნის ადმინისტრაციულ ერთეულში საპილოტედ, რომლის ბიუჯეტი პირველ ეტაპზე 300 000 ლარია (აღსანიშნავია, რომ 2019 წლის ბიუჯეტი მოსახლეობის გამოკითხვით დაიგეგმა და მუნიციპალიტეტი გადავიდა პროგრამულ ბიუჯეტზე)

➤ **ქედას ახალი ფესტივალი შეემატა**

ქედა ასოცირდება მევანახწეობა/მეღვინეობასთან და წელს პირველად, საოჯახო მარნების, ფერმერებისა და საწარმოების პოპულარიზაციის მიზნით გაიმართა „ქედის ღვინის ფესტივალი“ რომელსაც ძალიან დადებითი რეზონანსი მოყვა საზოგადოების მხრიდან

➤ **დაპირებისამებრ, ახალი ტურისტული სერვისი - ჩანჩქერების ტური შეიქმნება**

წელს, 9 ჩანჩქერის მიმდებარე ტერიტორია კეთილმოეწყო წელს და პროგრამა მომავალ წელსაც გაგრძელდება. ტური ხელშ შეუწყობს როგორც ბიზნესის განვითარებას, ასევე ტურისტული პროდუქტების შექმნას.

➤ **ახალი - პროექტი „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“**

შეიქმნა მუნიციპალიტეტის სოციალურ ეკონომიკური განვითარების სტრატეგია

➤ **კიდევ ერთი ახალი საპილოტე პროგრამა ამოქმედდება - „სიძველით ამორტიზირებული სახლების ახლით შეცვლა“**

სოციალური პროგრამით წელს 3 ოჯახი ისარგებლებს. მათ კაპიტალური სახლები გადაეცემათ. პროგრამა მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

➤ **დაბა ქედაში საცხოვრებელი ფართი გადაეცა 12 ოჯახს! გარდა ამისა 14-მდე ოჯახს აჭარის მთავრობამ დაუკანონა საკუთრებაში საცხოვრებელი ფართები**

➤ **დაბრუნდა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“**

ბიუჯეტი 740 000 ლარია და 94 ღონისძიება განხორციელდება 63 სოფელში.

- დაპირებისამებრ, შენდება აგარის სოციალური სახლი
- დაპირებისამებრ, აშენდა ქოსოფლის ხიდი
- გრძელდება მერის ინიციატივა საცხოვრებელ სახლებთან მისასვლელი საავტომობილო გზების მოწესრიგება/მშენებლობა (აგარის და ზუნდაგის ხიდები)
- გრძელდება მერის ინიციატივა „სოლიდარობის დღე“ (მერაბ ფარტენაძის სახლი ადაპტირებული იქნა პანდუსით, მარტოხელა მოხუცების დახმარება, ასევე სოციალურად შეჭირვებული ოჯახებისთვის თბილი სამოსის გადაცემა)
- გრძელდება ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა (ქუჩის მხატვრობა, ლაშქრობები და ა.შ.)
- შშმ პირთა მხარდამჭერი ღონისძიებები არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად (ლაგის პროექტი)
- გრძელდება არასამთავრობო ორგანიზაციებთან საქმიანი კონტაქტების დამყარება, რისთვისაც მერია ყოველთვის გამოთქვამს მზაობას.
- გრძელდება გენდერული ღონისძიებების მხარდაჭერა!
- 2019 წელს პირველად, მერიამ ბიზნესის ხელშემწყობი ღონისძიებები დააფინანსა (წყაენარასთან და შატო ივერთან მისასვლელი გზები მოაწესრიგა)
- გრძელდება ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური, სპორტული, კულტურული, ახალგაზრდული, ტურიზმის, წყალმომარაგების, კომუნალური, სკოლამდელი აღზრდის, განათლების, შშმ პირთა, სოფლის მხარდამჭერი ღონისძიებები და ა.შ.
- ჩატარდა ღია შეხვედრები მოსახლეობასთან და მოხდა პრობლემების სელექცია, რომელიც 2020 წლის ბიუჯეტში აისახება.
- ქედის მუნიციპალიტეტის 6 სოფლის გაზიფიცირება;
- აჭარის ა რ საგზაო დეპარტამენტის მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები;
- აჭარის ა რ განათლების, კულტურისა და სპორტის მიერ განხორციელებული პროგრამები;
- აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიზნობრივი პროგრამები;
- აჭარის ა რ სოფლის მეურნეობის მიზნობრივი პროგრამები, მათ შორის, ეფექტურად განხორციელდა ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიებები!

მიზნების გამო ვერ შესრულდა:

- პარკინგი- დაბის განტვირთვის გეგმა
- ზვარეში პარკის მოწყობა (თუმცა მოსახლეობას განემარტა რატომ ვერ მოეწყობა მითითებულ ადგილას და შეთანხმება მოხდა პარკის ადგილმონაცვლეობაზე)
- დაპირება იყო აქუცის ხიდის მშენებლობა (თუმცა 2020 წლის ბიუჯეტშია გათვალისწინებული)
- ახალგაზრდული ცენტრის გადაცემა და ალტერნატიული თვითმმართველობის შექმნა;
- მახუნცეთის გენგანვითარება (პროცესზე ასჭარის ფინანსთა სამინისტრო მუშაობს)

ჩართულობა:

- მოსახლეობასთან სისტემატიური კონტაქტი, მათი საჭიროებების ადგილზე შესწავლა და მათი ჩართულობა გადაწყვეტილების პროცესში;
- კვირაში ორჯერ - სამშაბათსა და პარასკევს, მოქალაქეთა ოფიციალური მიღება;
- დაგეგმილი პროექტების, ბიუჯეტის და სხვა მნიშვნელოვანი ინიციატივების საჯარო განხილვები;
- სხვადასხვა აქციებისა და კამპანიების ორგანიზება;
- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოსთან აქტიური თანამშრომლობა;
- სამთავრობო და არასამთავრობო უწყებებთან კოორდინირებული მუშაობა;
- სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო შტაბის ეფექტური მუშაობა;
- საზოგადოებისათვის ნებისმიერი საკომუნიკაციო არხი ღიაა - მესიჯბოქსი, უშუალო შეხვედრები, ოფიციალური შეხვედრები, სატელეფონო კავშირი, ფაქსი, ინტენსიური თანამშრომლობა ბეჭდურ, ტრადიციულ და არატრადიციულ მედია საშუალებებთან (ტელევიზია, რადიო, პრესა, სოციალური ქსელები), ელექტრონული მიმოწერები და ა.შ.

ნებისმიერ პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა და მათი აზრის გათვალისწინება მერიის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის უმნიშვნელოვანესია. ამიტომ, ქედის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე - **f-ქედის მუნიციპალიტეტი. Keda municipality**, მოსახლეობის აზრის საკვლევად არაერთი ინტერაქტივი განხორციელდა.

ქედის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის
ზოგადი მიმოხილვა 2018 წელთან მიმართებაში

2019 წლის ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა 12 610 757 ლარი შეადგინა; ანალოგიურ, 2018 წლის ბიუჯეტთან (11 418 399) მიმართებაში ბიუჯეტი 1 192 358 ლარით გაიზარდა.

ძირითადი პრიორიტეტები იყო:

- ინფრასტრუქტურული პროექტები;
- ტურიზმის განვითარება;
- სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობის სფეროების ხელშეწყობა.

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2019 წლის შესრულების შესახებ:

✓ შემოსულობები

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 20 ნოემბრის N8 დადგენილებით მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცებული წლიური მოცულობა 11 654 375 ლარის ოდენობით განისაზღვრა, ხოლო დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 12 610 757 ლარით.

ქედის მუნიციპალიტეტის 2019 წლის მდგომარეობით მიღებულია:

- აჭარის არ ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი - 3 773 706 ლარი,
- აჭარის არ ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი - 216 382 ლარი,
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 656 184 ლარი.
- სხვა სპეციალური ტრანსფერი - 200 000 ლარი.

გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 6 549 917 ლარი, მათ შორის:

- დ.ღ.გ. 6 470 191 ლარი.
- ქონების გადასახდი 79 727 ლარი,

სხვა შემოსავლებიდან სულ მიღებული იქნა - 274 503 ლარი, მათ შორის:

- პროცენტები - 12 644 ლარი,
- მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 88 422 ლარი,
- სანებართვო მოსაკრებელი - 727 ლარი,
- ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 20 815 ლარი,
- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება - 13 600 ლარი,
- ჯარიმები, სანქციები და საურავები - 31 000 ლარი,
- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 104 886 ლარი,

ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 42 167 ლარი.

✓ გადასახდელები

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის 2019 წლის წლიური გადასახდელების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 12 610 757 ლარის ოდენობით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 11 716 432 ლარი. (93.0%)

I. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1 686 909 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 608 761 ლარი, მათ შორის:

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა შეადგენს 552816 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 547006 ლარი.

მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1545364 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1541804 ლარი.

სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა შეადგენს 28100 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 26854 ლარი.

II. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოები სფეროს 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა შეადგენს 63060 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 61583 ლარი, მათ შორის:

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა შეადგენს 63060 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 61583 ლარი.

საქართველოს მთავრობის დადგენილებებისა და ქედის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებების საფუძველზე ჩატარდა 18 - დან 27 წლამდე ასაკის წვევამდელთა 2019 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევა სამხედრო სავალდებულო სამსახურში:

- 2019 წლის საგაზაფხულო გაწვევის პერიოდში გასაწვევ წვევამდელთა რაოდენობა ქედის მუნიციპალიტეტისათვის განისაზღვრა 21 წვევამდელით, ხოლო 2019 წლის საშემოდგომო გაწვევის პერიოდში - 23 წვევამდელით, წლის განმავლობაში შემკრებ - გამანაწილებელ ცენტრში გადაყვანილი იქნა 54 წვევამდელი;
- 35 წვევამდელი ჩარიცხულია სამხედრო სავალდებულო სამსახურში;
- 7 კომისიამ ცნო შეზღუდულად ვარგისად სამხედრო სამსახურისათვის;
- 7 დროებით უვარგისად;
- შსს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ვადიან საკონტრაქტო სამსახურში ჩაირიცხა 17 წვევამდელი;
- სახელმწიფო დაცვის სპეც. სამსახურში - 8 წვევამდელი.

- თავდაცვის ძალების პროფესიულ სამხედრო საკონტრაქტო სამსახურში გაწვეულია 2 წვევამდელი.
- 1 წვევამდელმა ისარგებლა „სვსსშ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ„ ქვეპუნქტით და გადაიხადა სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადებისათვის საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი (2000 ლარი).
- საქართველოს კანონის „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ მესამე თავის მე-14 მუხლის შესაბამისად, დროულად დასრულდა 2002 წელს დაბადებულ მოქალაქეთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა და შესაბამისი დოკუმენტაციის მოწესრიგება და დაიწყო 2003 წელს დაბადებულ მოქალაქეთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც წარმატებით განხორციელდა გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.
- სისტემატურად მიმდინარეობს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მოწოდებულ წვევამდელთა ერთიან ელექტრონულ ბაზაში მონაცემების შეტანა, ინფორმაცია შეტანილია 1991 – 2002 წლებში დაბადებულ იმ წვევამდელებზე, რომლებზეც იქნა მიღებული გადაწყვეტილება გამწვევი კომისიის მიერ, და იმ მოქალაქეებზე, რომლებიც ჩაირიცხენ რეზერვში 27 წლის შესრულების გამო.
- წლის განმავლობაში მიმდინარეობდა რეზერვისტთა სამხედრო სააღრიცხვო ბარათების შედარება თემების მიხედვით:
- რეზერვში ჩაირიცხა სამხედრო ძალებიდან დათხოვნილი 49 რეზერვის რიგითი, სხვადასხვა უწყებიდან დათხოვნილი 9 რეზერვის რიგითი და სხვა მუნიციპალიტეტიდან შემოსული 6 რეზერვის რიგითი;
- 27 წლის შესრულების გამო - 68 მოქალაქე;
- სპეციალურ აღრიცხვაზე გადავიდა - 10 რეზერვისტი;
- სამხედრო ბილეთის დაკარგვის გამო ჯარიმა (50 ლარის ოდენობით) გადაიხადა 1 რეზერვის რიგითმა.
- სამსახურის მიერ გაცემულია 47 რეზერვისტის დროებითი მოწმობა.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 6200600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 5645740 ლარი, მათ შორის:

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1621890 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1607984 ლარი, საიდანაც

შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 561700 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 550582 ლარი.

სოფელ დოლოგანთან დუმბაძეების უბანში, მდინარე აჭარისწყალზე საავტომობილო ხიდის მშენებლობა 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 960190 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 958325 ლარი.

გარე განათების ქსელის გაფართოების 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 95 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 94 077 ლარი.

მთებზე მოიალაღეთა ტრანსპორტირება 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 5 000 ლარი.

საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1323910 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 1292017 ლარი, საიდანაც

მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ზუნდაგაში 2,5 კმ. სიგრძის ახალი წყლის სისტემის მშენებლობა 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 122550 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 122534 ლარი.

ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ახოში არსებული წყლის მაგისტრალის რემონტი (სათაო ნაგებობებისა და წნევაჩამხშობი ჭების რემონტი) 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 39500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 39 486 ლარი.

ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ კოკოტაურში 3 კმ. სიგრძის ახალი წყლის სისტემის მშენებლობა 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 77400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 77 345 ლარი.

წონიარისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ვარჯანისში არსებული სასმელი წყლის რემონტი 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 44700 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 44 651 ლარი.

დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ აქუციდან სოფელ ქედაში წყლის სისტემის მშენებლობა 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 69 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 69800 ლარი.

ზვარის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ სირაბიძეებში ახალი სასმელი წყლის გამანაწილებლის მოწყობა 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 43 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 42 878 ლარი.

წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა (დანდალოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების ხარაულა-ჯალაბაშვილების და სოფელ დანდალოს წყლის სისტემის რეაბილიტაცია) 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 15600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 14804 ლარი.

სოფელ ჯალაბაშვილებში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა და სოფელ გულებში არსებული სასმელი წყლის გამანაწილებლის რეაბილიტაცია 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 15000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 14215 ლარი.

სოფელ მოსიაშვილებში სასაფლაოების შემოღობვა და წყლის სისტემის მოწყობა 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 12 610 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 12024 ლარი.

სარწყავი არხების, სასმელი წყლისა და წყალსადენებისათვის მილების შექმნა 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 4450 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 4 444 ლარი.

სს "აჭარის წყლის ალიანსის" საწესდებო კაპიტალის შენატანი 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 15600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 10400 ლარი.

შპს „ქედის წყალკანალი 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 258400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 258399 ლარი.

შპს ქედის კომუნალურსერვისის 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 605300 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 581037 ლარი.

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2377500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2013692 ლარი, მათ შორის:

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ მაისში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 800000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 799445 ლარი.

სოფელ აქუცის სოფლის სახლის რემონტი 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 51000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 49029 ლარი.

დაბა ქედაში მუზეუმის შენობის სახურავის შეცვლა 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 41000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 30281 ლარი.

დაბა ქედაში მდინარე აკავრეთასა და აჭარისწყლის ნაპირსამაგრი სამუშაოები 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 364 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 360 563 ლარი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 300 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 277 320 ლარი.

დაბის ტერიტორიის კეთილმოწყობა 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 349000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 295293 ლარი.

ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 210000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 201760 ლარი.

პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 107000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 46130 ლარი.

ძირითადი და დამატებითი ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებით საჭირო სამუშაოების ჩატარების და აღრიცხული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის საჭირო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის შექმნა (მიწის ნაკვეთის საკადასტრო-აზომვითი ნახაზები და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობის გეგმა-ნახაზების შედგენა) გეოლოგიური დასკვნები 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1575 ლარი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული პირუტყვის ვაქცინაციის პროგრამა 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 6500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 6435 ლარი.

ღვინის ფესტივალი ქედაში 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 21780 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 21724 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 740000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 656184 ლარი.

სახელმწიფო შესყიდვები წლის განმავლობაში მიმდინარეობდა საკრებულოს მიერ დამტკიცებული საბიუჯეტო ხარჯებისა და მერის ბრძანებით დადგენილი შესყიდვების გეგმის შესაბამისად, შესყიდვების თაობაზე საკანონმდებლო მოთხოვნები სრული დაცვით.

- სულ 2019 წელში შესყიდვების საერთო მუცულობამ გეგმით შეადგინა 7120128 ლარი.

2019 წელში სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებლად სულ გამოცხადდა 163 ელექტრონული ტენდერი, მათგან:

- დადებითად დასრულდა 123,
- არ შედგა 16 ტენდერი,
- შეწყვეტილია და უარყოფითად დასრულდა 24 ტენდერი,
- გასაჩივრდა დავების საბჭოში 7 ტენდერი, რაც დასრულდა მომჩივანის მხარისათვის უარყოფითი შედეგით.
- სულ, სატენდერო პროცედურების შედეგად გაფორმდა 123 ხელშეკრულება სხვადასხვა მომწოდებლებთან. სატენდერო პროცედურების სწორად მართვის შედეგად მიღწეული იქნა შედეგი, რომ მომწოდებელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ დროულად შეასრულა სახელშეკრულებო ვალდებულებები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ინფრასტრუქტურული პროექტების თაობაზე განხორციელებული შესყიდვები, სადაც გარდა ერთი კომპანიისა, ყველა კომპანიის მიერ შესრულებული იქნა ვალდებულებები. (მხოლოდ შპს „დიდგორმა“ ვერ შეასრულა სოფელ ახოს ბაგა-ბაღის სარემონტო სამუშაოები, რის გამოც შეუწყდა ხელშეკრულების მოქმედება დეკემბრის თვეში).

- ამასთან 4, კომპანიას გადაუვადდა სამუშაოების შესრულების ვადები სამუშაოების შესრულების დროს, პროექტში აღმოჩენილი უზუსტობების გასწორების გამო. მაგალითად: შპს „ზადუ“-ს გოგებაშვილის ქუჩის სარემონტო სამუშაოების შესრულებაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადები გაუგრძელდა ერთი თვით.
- არ შემდგარი ტენდერის გამო, ვერ გაფორმდა ხელშეკრულება დაბა ქედის პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე.

კანონით დადგენილი წესების დაცვით შესყიდვების სააგენტოს თანხმობით სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის შესყიდვების შეუფერხებლად და შეზღუდულ ვადებში ჩატარების მიზნით, გაფორმდა 97 ხელშეკრულება გამარტივებული შესყიდვების წესით 407267 ლარის ღირებულებაზე. მათ შორის ექსკლუზიური უფლებამოსილების განხორციელებისათვის დაცვის სამსახურზე 69600 ლარის ფარგლებში.

- სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო მომსახურებისათვის და სხვა სოციალური პროგრამების შესყიდვის მიზნით 202200 ლარზე.
- კულტურული ღონისძიებების ორგანიზებასთან დაკავშირებით 35899 ლარზე და გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე ახოს ბაგა-ბაღის სარემონტო სამუშაოების ჩატარების თაობაზე 71200 ლარზე.
- ასევე კონსოლიდირებული ტენდერებით სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესებით შესყიდვები განხორციელდა საწვავის და სხვა მასალების შესყიდვების განხორციელებაზე 216148 ლარის ოდენობაზე გაფორმდა 32 ხელშეკრულება.
- სულ შესყიდვების თაობაზე წლის განმავლობაში გაფორმდა 252 ხელშეკრულება და შესრულდა სახელმწიფო შესყიდვები ბიუჯეტით დამტკიცებული ხარჯების მიხედვით 7040080 ლარის ოდენობით.
- ჩატარებული ტენდერები ძირითადად შეეხებოდა ინფრასტრუქტურული პროექტებით განსაზღვრული სამუშაოების შესყიდვას, როგორცაა მოსახლეობის სასმელი წყლებით უზრუნველყოფა, სასოფლო-საუბნო გზების სარეაბილიტაციო

სამუშაოების ჩატარება, მეწყერული მოვლენების წინააღმდეგ ჩასატარებელი ღონისძიებები, გარე განათების სისტემების მოწყობა და სხვა.

- სამსახურის მიერ 2019 წელში მუნიციპალიტეტში ეკონომიკური აქტივობის ხელშეწყობის მიზნით, გაწეული იქნა გარკვეული სამუშაოები ახალი მცირე საწარმოების შექმნი კუთხით. კერძოდ, ორ იურიდიულ პირს დაბა ქედის ტერიტორიაზე მიეყიდა მიწის ნაკვეთები პირობიანი ელექტრონული აუქციონის წესით, ავეჯის და მშრალი ხილის დამამზადებელი საწარმოს შექმნის მიზნით შპს „აგროჯგუფს“ და ინდ. მეწარმე ავთანდილ ბერიძეს. აუქციონის პირობები ითვალისწინებს საწარმოების შექმნის ვადებს, განხორციელებული ინვესტიციის მოცულობებს და ადგილობრივთა დასაქმებას.
- ერთ იურიდიულ პირს სოფელ ზესოფლის ტერიტორიაზე მიეყიდა მიწის ფართი პირობითი აუქციონით მომსახურების ობიექტის შესაქმნელად.

სამსახურის მიერ გარკვეული სამუშაოებია ჩატარებული მუნიციპალური ქონების მართვის კუთხით, კერძოდ ქონების აღრიცხვის, გასხვისების და მოვლა-პატრონობის მიზნით 2019 წელში დამტკიცებული იქნა საკრებულოს მიერ საპრივატიზაციო ნუსხა, რომელიც მოიცავს 22 ერთეულ ქონებას.

- სულ წლის განმავლობაში მოხდა 6 ერთეული ქონების პრივატიზაცია, მათ შორის მიწის ნაკვეთი 4 ერთეული, ძველი ავტოტრანსპორტი 2 ერთეული, გაყიდვებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 42167 ლარი.
- მომზადდა საპრივატიზაციოდ 3 ერთეული ქონება.

წლის განმავლობაში საკრებულოს განკარგულების საფუძველზე აუცილებლობიდან გამომდინარე სხვადასხვა უწყებებს გადაეცა 31 ერთეული ქონება. მათ შორის: მიწის ნაკვეთები, სამი ერთეული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მომსახურების ცენტრის მშენებლობისათვის, აჭარის განათლების სამინისტროს საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის მშენებლობისათვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარული მომსახურების ცენტრის მშენებლობისათვის, ასევე აჭარის საგზაო დეპარტამენტს გადაეცა სარწყავი არხები, შპს „კომუნალურსერვისს“ სპეცტექნიკა.

- პერიოდულად მიმდინარეობდა უძრავი ქონების რეგისტრაციისათვის ტექნიკური ნახაზების შედგენა და მათი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. 2019 წელს სულ დარეგისტრირდა 11 ერთეული ქონება, მათ შორის და სახელმწიფო ქონების სააგენტოსაგან გადმოცემული 5 ერთეული ქონება: პირველ მაისში მიწის ფართობი სოციალური სახლის მშენებლობისათვის, თამარის ქუჩაზე არსებული ორბინიანი საცხოვრებელი სახლი და ყოფილი საჯარო რეესტრის შენობაში სამი ერთეული ფართი. მომზადებული იქნა დოკუმენტაცია სოფელ ჭინკამეებში ყოფილი ფერმის მწყემსების საცხოვრებელი ფართობების მასში მცხოვრებლებზე გადაცემისათვის, ასევე მზადდება დოკუმენტაცია თამარის ქუჩაზე მდებარე ბინების მფლობელებზე გადაცემისათვის.

გარკვეული სამუშაოები ჩატარდა სამსახურის მიერ დაწესებული მოსაკრებლების ამოღების მიზნით:

- 2019 წელში ოთხ ერთეულ მშენებლობაზე გაიცა ნებართვა, მშენებლობის სანებართვო მასაკრებლის სახით შემოვიდა 727,37 ლარი.
- წლის განმავლობაში 168 იურიდიულ და ფიზიკურ პირზე სულ გაწერილი იქნა დასუფთავების მოსაკრებლის სახით 44357 ლარი. მათგან გადასახადის სახით შემოსულია 20816 ლარი.

- დღემდე პრობლემად რჩება გაწეული მომსახურების მიუხედავად დაბისა და სოფლის მოსახლეობისაგან შესაბამისი მოსაკრებლის ამოღების საკითხი. საკრებულოს მიერ დადგენილი ნორმების შესაბამისად, რაც ერთ სულ მოსახლეზე ყოველთვიურად დადგენილია 50 თეთრის ოდენობით. გაწეული მომსახურების მიხედვით გაანგარიშების შესაბამისად იგი შეადგენს ყოველთვიურად 1200 ლარს და წლიურად 14400 ლარს.
- ასევე იურიდიული პირებისაგან გადაუხდელმა თანხებმა წლის განმავლობაში შეადგინა 23541 ლარი.

წლის განვლილ პერიოდში სულ სამსახურში შემოსულია 1008 წერილობითი დოკუმენტი მათგან 497 მოქალაქის განცხადება.

განათლება

განათლების სფეროს 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1672480ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1533283 ლარი, მათ შორის:

სკოლამდელი განათლების დაფინანსება 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1672480ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1533283 ლარი, საიდანაც

ა.ა.ი.პ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1397080 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1356378 ლარი.

ახოს ბაგა-ბაღის რემონტი 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 128000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 59020 ლარი.

პირველი მაისის ბაგა-ბაღის რემონტი 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 141 400 ლარი. ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 112678 ლარი.

მუნიციპალიტეტში არსებულ ბაგა-ბაღებში ეზოების კეთილმოწყობა და ატრაქციონების შექმნა 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 6000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 5207 ლარი.

V. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1604900 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1509579 ლარი, მათ შორის:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 628790 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 576501 ლარი, საიდანაგ

ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლის 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 183200 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 180944 ლარი.

სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 56190 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 43525 ლარი.

საფეხბურთო კლუბის მხარდაჭერი ღონისძიებების 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 72600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 72220 ლარი.

სარაგბო კლუბის მხარდაჭერი ღონისძიებების 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 85500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 76779 ლარი.

მინი სპორტული მოედნების მშენებლობა და რეაბილიტაცია (ახო, ზუნდაგა, ზედა ბზუბზუ და დაბა ქედა) 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 231300 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 202033 ლარი.

კულტური განვითარების ხელშეწყობა 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 957000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 918919 ლარი, საიდანაგ

ა.ა.ი.პ ქედის კულტურის ცენტრის 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 651200 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 620376 ლარი.

ა.ა.ი.პ ქედის ხელოვნების სკოლის 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 135300 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 128791 ლარი.

ა.ა.ი.პ ქედის მუზეუმის 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 81800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 81178 ლარი.

კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 88700 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 88573 ლარი.

ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 13810 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 11256 ლარი.

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამა 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5300 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2904 ლარი.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროს 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 942950 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 850583 ლარი, მათ შორის:

ჯანმრთელობის დაცვის 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 356475 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 344227 ლარი, საიდანაც

ეპილევსიით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2175 ლარი ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2144 ლარი.

ამბულატორიული მომსახურება 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 127100 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 125019 ლარი.

სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 135100 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 132140 ლარი.

თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 91650 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 84550 ლარი.

პარკინსონით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 450 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 374 ლარი.

სოციალური დაცვის ღონისძიებების 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 471 663 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 448 795 ლარი, საიდანაც

სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 25200 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 23655 ლარი.

ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიატუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 25920 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 16419 ლარი.

ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება, სოფლად მცხოვრები არამობილური ხანდაზმულებისათვის 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 12660 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 11080 ლარი.

ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარება 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 60000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 60000 ლარი.

გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 32000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 31750 ლარი.

ჰემოდიალეზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობა 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 12000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 10670 ლარი.

სამედიცინო და სოციალური რეზილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია-რეზილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 14500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 14498 ლარი.

სტიქიისა და უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარება (ადგილობრივი და აჭარის ა/რ სარეზერვო ფონდი) 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 310895 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 309985 ლარი.

საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლა 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 28300 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 28298 ლარი.

ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლების შესაძენად ფინანსური დახმარება 2019 წლის წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 65000 ლარი.

ზედამხედველობა

მუნიციპალიტეტის მერიაში საანგარიშო პერიოდში მშენებლობის ნებართვის მისაღებად შემოსულ განცხადებებზე კანონით განსაზღვრულ ვადაში გაცემულია 4 სამშენებლო ნებართვა.

მიღებულ იქნა ექსპლოატაციაში დაბა ქედის ტბ. აბუსერიძის ქუჩის მიმდებარედ საზოგადოებრივი ცენტრის (სოფლის სახლი) შენობა (ბრძ.N1123,28.10.2019 წ.) და ფერმერთა და აგრომრეწვთა შენობა-ნაგებობა სოფელ ძენწმანში (ბრძ.1227,21.11.2019 წ.).

- სამშენებლო სამართალდასრლვევის გამო დაჯარიმებულ იქნა 1 ფიზიკური პირი უნებართვო მშენებლობის განხორციელების შესახებ, ხოლო 2 ფიზიკური პირის მიმართ უნებართვო მშენებლობის წარმოების გამო მიეცათ წერილობითი გაფრთხილება მშენებლობის შეჩერებისა და დემონტაჟისათვის, რაც შესრულდა მათ მიერ გონივრულ ვადაში და შეწყდა სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება.
- სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას, იურიდიულ პირზე შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმი თანხის არადროული გადაუხდელობის გამო აღსასრულებლად გადაეგზავნა აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს.
- სისტემატურად მიმდინარეობს ქუჩების დაგვა-დასუფთავება და ხდება ნაგვისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა დაბა ქედისა და მუნიციპალიტეტის სოფლებიდან.
- 21 მარტს ჩატარდა გამწვანების აქცია დაბა ქედაში ფრიდონ ხალვაშის სახელობის ცენტრალურ პარკში, 20 სექტემბერს „დედამიწის დღესთან“ დაკავშირებით ჩატარდა დასუფთავების აქცია ბათუმი-ახალციხის ცენტრალურ საავტომობილო გზაზე პირველი მაისი-დაბა ქედის მიმართულებით.
- ა/ო CENN-ის ორგანიზებით დანდალოს (თამარის ხიდი, კავიანის ციხე), წონიარისის (თამარის ხიდი), დაბა ქედის (ზენდიდის ციხე), პირველი მაისისა (ცენტრი პ/მაისი, ცივასულას ციხე) და მახუნცეთის (აწვესის ჩანჩქერი, თამარის ხიდი) ადმინისტრაციულ ერთეულებში დამონტაჟდა დანაგვიანების საწინააღმდეგო 8 (რვა) ერთეული ბანერები ტურისტული ობიექტების მიმდებარე ტერიტორიებზე.
- სოფელ მოსიაშვილებში ბათუმი-ახალციხის ცენტრალური საავტომობილო გზის მიმდებარედ დაიხურა არალეგალური ნაგავსაყრელი შპს „ქედის კომუნალურსერვისთან“ და დანდალოს ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებთან ერთად.
- სისტემატიურად ხორციელდება დაზიანებული გარე განათების ქსელებისა და სანათი წერტილების აღდგენა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.
- ზედამხედველობის სამსახურისა და შპს „კომუნალურსერვისი“-ს მიერ სისტემატიურად ხდება გაფრთხილება ფიზიკური და იურიდიული პირების.
- განხორციელდა დაბა ქედის, მახუნცეთის, აწვესის ცხმორისისა და ზვარის ადმინისტრაციულ ერთეულის ცენტრებში მოსახლეობასთან შეხვედრები გარემოს დანაგვიანებაზე. განთავსებულ იქნა საჯარო ადგილებში გამაფრთხილებელი პლაკატები და დარიგებული იქნა ბუკლეტები.
- სისტემატიურ კონტროლზეა აყვანილი მდინარე აჭარისწყლის სანაპიროდან ინერტიული მასალების მომპოვებელი კომპანიები, რათა არ მოახდინონ გადაზიდვის დროს გზის სავალი ნაწილის დანაგვიანება. გამოვლენილი ფაქტების შემთხვევაში მათზე ტარდება კანონით გათვალისწინებული ზომები.
- საანგარიშო პერიოდში შპს „წყალკანალი“-ს მიერ ჩატარდა საკანალიზაციო - სანიღვრე არხების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა აღმაშენებლის, აბუსერიძის აწვესის, რუსთაველისა და 9 აპრილის ქუჩაზე. სარემონტო სამუშაოები

ჩაუტარდა ქედა-შევაბურის, ქედა-ზენდიდისა და აწჰესის სასმელი წყლის მაგისტრალებს. დაბა ქედაში სისტემატურად ხდება არსებული სანიაღვრე არხების გაწმენდა.

- სამსახური აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ქედის განყოფილების წარმომადგენელთან ერთად სისტემატურად ანხორციელებს სანიტარულ-ჰიგიენური და სანიტარულ-ეპიდსაწინააღმდეგო წესებისა და ნორმების დარღვევებზე მონიტორინგს დაბა ქედაში განთავსებულ სადალაქოებსა და სალონებში.
- შესწავლილი იქნა დაბა ქედისა და თემის ცენტრების გარე-იერსახის, გარე-რეკლამის, გარე-ვაჭრობისა და სანიტარული დასუფთავების მდგომარეობა მისი მოწესრიგების მიზნით. ობიექტის მფლობელებს მიეცათ გაფრთხილება კეთილმოეწყობთ ობიექტის გარე სარეკლამო აბრები და დაიცვან სანიტარული დასუფთავების წესები.
- დაბა ქედის ცენტრში მოწესრიგდა სავაჭრო ჯიხურები, შეიღება და კეთილმოეწყობა მიმდებარე ტერიტორიები მეპატრონეების მიერ აბუსერიძის და წერეთლის ქუჩაზე.
- დემონტაჟი ჩაუტარდა ზვარის ცენტრში უსახურ, ამორტიზირებულ მგზავრთა მოსაცდელსა და დაბა ქედაში წერეთლის ქუჩაზე მდებარე საზოგადოებრივ საპირფარეშოს და რუსთაველისა და 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე უსახურ შენობა-ნაგებობებს.

შიდა აუდიტი:

შიდა აუდიტის სამსახურმა 2019 წლის სამუშაო გეგმის შესაბამისად განახორციელა შიდა აუდიტორული შემოწმებები, სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფო სხვა მატერიალური ფასეულობების, სახელმწიფოს ქონებრივი ღირებულებების, არამატერიალური ხარჯვის, გამოყენების, მართვისა და მიზნობრიობის შესახებ.

გეგმის შესაბამისად, შიდა აუდიტორული შემოწმებები განხორციელდა მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ სუბიექტებში, ასევე აუდიტორული შემოწმებები ჩატარდა მუნიციპალიტეტის მიზნობრივი პროგრამების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მიზნობრიობის თაობაზე, კერძოდ: შიდა აუდიტის სამსახურმა 2019 წელს განახორციელა შემდეგი შიდა აუდიტორული შემოწმებები:

- ქედის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლობითი ხარჯების აუდიტი.
- ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახურის მიზნობრივი პროგრამების აუდიტი.
- ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2019 წელს დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვების მიმდინარეობის აუდიტი;

- ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის მიზნობრივი პროგრამების მონიტორინგი.
- ქედის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მოსაკრებლების ბაზის განსაზღვრისა და მოსაკრებლის ამოღების მიმდინარეობის აუდიტი.
- შ.პ.ს. „ქედის წყალკანალი“-ს შიდა აუდიტორული ანგარიში.

შიდა აუდიტის მიერ ყველა ზემოთ დასახელებულ ობიექტზე გაკეთდა დასკვნები და რეკომენდაციები. გაცემულ იქნა 41 რეკომენდაცია, რომლის შესრულება აყვანილი იქნა კონტროლზე. 2019 წელს გაცემული რეკომენდაციებიდან შესრულდა 36 რეკომენდაცია, ხოლო 5 რეკომენდაციის შესრულებაზე შესაბამისი სამსახურების მიერ მიმდინარეობს მუშაობა. კერძოდ ეს რეკომენდაციებია:

1. შ.პ.ს „წყალკანალი“-ზე გაიცა რეკომენდაცია რომ ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიური განვითარების სამსახურის ქონების მართვის განყოფილებამ, იურიდიულ განყოფილებასთან ერთად უზრუნველყოს მერიის ბალანსზე აღრიცხული წყალსადენებისა და საკანალიზაციო ქსელის მერიის ბალანსიდან შ.პ.ს „ქედის წყალკანალი“-ის ბალანსე გადაცემის საკითხის მოგვარება.

2. ადგილობრივი მოსაკრებლების ბაზის განსაზღვრისა და მოსაკრებლის ამოღების მიმდინარეობს აუდიტის დროს, გაცემული იქნა რეკომენდაცია: რომ, ეკონომიკური განვითარების სამსახურმა, იურიდიულ განყოფილებასთან ერთად საკრებულოს სხდომაზე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებში ცვლილებების შეტანის მიზნით, მოამზადოს წინადადებები ადგილობრივი გადასახადების დროული გადახდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდისათვის.

3. შპს ქედის „კომუნალურსერვისი“-ზე გაცემული იქნა რეკომენდაცია რომ უზრუნველყოს მის ბალანსზე არსებული მიწის ფართისა და მასზე დამაგრებული სადურგლო საამქროს იჯარით გაცემა და საკუთარი ქონებიდან შემოსავლების მიღება. აღნიშნული ფართი არის 1500 კვ.მ რომელიც მდებარეობს დაბა ქედის ყოფილი სასტუმროს მიმდებარე ტერიტორიაზე. აღნიშნულ ფართზე არის სადურგლო საამქრო და მისი გამოყენება ხდება კერძო ფიზიკური პირის მიერ, რომელიც არავითარ გადასახდს არ იხდის.

4. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახურზე მონიტორინგის დროს გაცემული იქნა რეკომენდაცია, რომ მეტი ყურადღება დაუთმოს ტურიზმის სფეროს პოპულარიზაციას, ამისათვის ხელი შეუწყოს გიდების მომზადებასა და მათი სერთიფიცირების საქმეს.

5. მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლობითი ხარჯების აუდიტის დროს გამოვლინდა, რომ მერიის საფინანსო

სამსახურს წარმომადგენლობითი ხარჯები ისე აქვს ანაზღაურებული რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მითითებული არ არის, თუ რა ღონისძიებებზე გაიხარჯა თანხა, ასევე არ არის იდენტიფიცირებული მოწვეული სტუმრების სახელობითი სია, რის გამოც შესაბამის სამსახურზე გაიცა რეკომენდაცია რომ სტუმრების მიღებისა და სხვა ღონისძიებების ჩატარების შემდეგ არ მოახდინოს მომწოდებლებზე თანხის ანაზღაურება, თუ მიღება ჩაბარების აქტებზე თანდართული არ იქნება სტუმრების იდენტიფიცირება.

აღნიშნული რეკომენდაციების შესრულებაზე შესაბამისი სამსახურების მიერ მიმდინარეობს მუშაობა, რომელიც უნდა დასრულდეს მიმდინარე წლის 01 სექტემბრამდე.

შიდა აუდიტის სამსახურის 2019 წელს მიერ შესწავლილი იქნა განცხადებები რომელიც ძირითად სამშენებლო საქმიანობას, ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანას, განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების, მერიის პროგრამულ ბიუჯეტთან დაკავშირებულ საკითხების სისტემურ, კომპლექსურ შესწავლასა და რისკის მართვის, მატერიალური ფასეულობების ხარჯვასა და გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობის დაცვასა და ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობას და სხვა მიმდინარე საკითხების შესწავლას ითვალისწინებდა.

მერიაში მოქმედი ყველა კომისიის მუშაობა საჯაროა:

- მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის მიზნით ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში სათათბირო ორგანო - საბჭო;
- თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია;
- მერის სათათბირო ორგანო - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო;
- ოჯახში ძალადობისა და ბავშვთა რეფერირების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი;
- ქედის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მცირეფასიანი ინვენტარისა და სხვა მატერიალური ფასეულობების საინვენტარიზაციო კომისია;
- ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობისათვის საფრთხის აცილების მიზნით ხეების გადაბეღვის განმსაზღვრელი კომისია;
- ქედის მუნიციპალიტეტში შენობა-ნაგებობებზე განხორციელებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მიმღები კომისია;
- ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო მოსამსახურის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ღია, დახურული და გამარტივებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფი საკონკურსო კომისია;
- სამხედრო სავალდებულო სამსახურში ქედის მუნიციპალიტეტის გამწვევი კომისია;

- სახელმწიფო შესყიდვების სატენდერო კომისია;
- ქედის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მიმნიჭებელი საბჭო;
- ქედის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების (საცხოვრებელი სახლი) მდგომარეობის შემსწავლელი ადგილობრივი კომისია;
- პირის ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისია;
- ქედის მუნიციპალიტეტში სოციალური ჭრის განხორციელების ხელშემწყობი კომისია.

მერიის სტრუქტურების საქმიანობის ძირითადი აქცენტებია:

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის კუთხით, მერიაში გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი და დროულად ეგზავნება შესაბამისი პასუხები ადრესატს;
- ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის კუთხით, თვითმმართველობამ არაერთი აქტივობა დაისახა მიზნად.
- მერიის ყველა სტრუქტურული ერთეულის მნიშვნელოვანი ღონისძიებები საჯაროდ განიხილება, რომლებშიც მოქალაქეთა თანამონაწილეობა უმნიშვნელოვანესია;
- ყველა სტრუქტურული ერთეული ღიაა პრესისა და მედიის წარმომადგენლებისთვის.